

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი №7

21.11.2019 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - კ. ჯამბურია.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გ. ღამბაშიძე.

საკრებულოს წევრები: ბ. შუბითიძე; თ. ტალახაძე.

დღის წესრიგი:

1. ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა.
/მომხს: ს. ღონღაძე/
2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის ცვლილება.
/მომხს: კ. ჯამბურია/
3. სხვადასხვა.

1. მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის გეგმის შესახებ.

დაადგინეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა განიხილეს 2020 წელს გასახორციელებელი ღონისძიებები და აქტივობები პუნქტობრივად, რათა შესაძლებელი იყოს გეგმის გაწერა ბიუჯეტის შესაბამისად.

2. მოისმინეს:


მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

საბჭო პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა სამმა წევრმა, რომლებიც ჩანაცვლებულ იქნენ საბჭოს დებულების შესაბამისად.

დაადგინეს:

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდეს ცვლილება და მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს თავმჯდომარე:
მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს მდივანი:



/კ. ჯამბურია/

/თ. მუმლაძე/